ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2758352

ნომერი: AR1417762

თარიღი : 29.06.2016

გაცემის თარიღი : 12.08.2016

გაცნობის თარიღი : 12.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. გულუას ქუჩის დასაწყისში / ქალაქი თბილისი , ქუჩა გენერალ გულუა / ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045); ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045); ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ გუძუაძე პ/ნ 01024027837
- ქ.თბილისი, ჩიქოვანის #18,ბინა 37

ორგანიზაცია:
- შპს.GUG კოდი: 404958408

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტები
  - ოფისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის №1417762 29.06.2016წ. პასუხად რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.05.001.075; №01.18.05.001.070; №01.18.05.001.071;) ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტის ოფისის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) -ში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები უნდა იყოს: მინიმალური ფართობი – 700 კვ.მ; მინიმალური სიგანე– 20 მ. მინიმალური სიღრმე–30 მ. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მაქსიმალური სიღრმეა 27 კვ.მ. შესაბამისად არ აკმაყოფილებს მოქმედი ზონისთვის დადგენილ პარამეტრებს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: №01.18.05.001.075; №01.18.05.001.070; №01.18.05.001.071;) არ აკმაყოფილებს ფუნქციური ზონისთვის დადგენილ ნორმებს. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახური ვერ გასცემს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.